1992

ISSN 0132--5965

ყოველ

იანვარი № 1 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი

ახალი წელი მოვიდა — 1992!

სულ რვა წელი გავა და ახალი საუკუნეც დადგება — XXI საუკუნე! თქვენ უკვე ქალიშვილები და ჭაბუკები იქნებით! და ღმერთმა ქნას, რომ იმ, მომავალ საუკუნეს, ისე შეხვდეთ, როგორც ჩვენს ძველთაძველ, განათლებულ და კეთილისმყოფელ ერს შეეფერება...

ამიტომ ეს რვა წელიწადი, დღეის დღიდან მე-2000 წლის დადგომამდე და მერეც, მერეც... ისა გმართებთ, გიყვარდეთ და გწამდეთ ერთმანეთი, გიყვარდეთ და გიხაროდეთ საქართველო და ქართველი, ცდილობდეთ თქვენი სიკარგით, თქვენი სიკეთით, გამგებიანობით, სიმარჯვითა და სიბეჯითით გაახაროთ სამომავლო კეთილი ნერგი.

პირველ ყოვლისა სიყვარული, შვილებო!

პირველ ყოვლისა!

მაშინ მოვა ის, რასაც ასე ეშურება ჩვენი გული — მოვა მართალი, ნაღდი, თავისუფალი, მაღალი და ნათელი საქართველო.

იცოცხლეთ მისთვის!

იხარეთ მის გამო!

იარეთ მისკენ!

წელი

F-6049

დაუვიწყარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ არის ჩვენთვის, მთელი საქართველოსათვის და «დილის» მკითხველებისთვისაც დაუიწყარი, დიდი, კეთილი მწერალი რევაზ ინანიშვილი.

აღარ არის ჩვენთვის, «დილის» თანამშრომლებისათვის დაუვიწყარი, დიდი და კეთილი ადამიანი...

დიდი მწერალი და დიდი ადამიანი... რა ბედნიერებაა, როცა კაცი ასეთ სახელს დატოვებს ამ ქვეყნად და ასეთ სახელს წაიღებს საიქიოს...

რევაზ ინანიშვილს უყვარდა თავის მოთხრობებში ხალხური ლექსების სტრიქონების გახსენება. ერთგან ასეთ სიტყვებს «გვახარბებს» მკითხველს:

«მოვა სიკვდილი უეცო,
ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ ქვეყნიდან,
სხვას არა წაუღია რა...»

მან წაიღო... აკი გითხარით — დიდი მწერლის და დიდი ადამიანის სახელი. წაიღო და დატოვა კიდეც...

ვისაც მისი მოთხრობები წაუკითხავს, ის უტყუარად, გულის ჩქოლვით გრძნობს ამ სიდიდეს და ამ სიკეთეს...

ვინც მას პირადად იცნობდა, იმან იცის, იცის ამ სიდიდისა და სიკეთის ფასი.

რევაზ ინანიშვილი ერთი უპირველესი ქართველი იყო, უანგარო და ერთგული მამულშვილი, ქართული ისტორიის, ქართული ნიჭის, ქართული მშვენიერების მოკანკალე გულშემატკივარი, და, ამავე დროს, საყოველთაო, საკაცობრიო სიკეთის, ნიჭის, მშვენიერების გამგები და პატივისმცემელი.

რევაზ ინანიშვილი ერთი უპირველესი მოქართულე იყო და საქართველოს მზის სინათლეზე გამოჰქონდა ხალხის წიაღშიღა

შენახული ბევრი, მწიგნობარისათვის უცნობი, და იდუმალი მშვენიერებით აღსავსე, კამკამა, გულის კვნესამდე ნამდვილნაღდი სიტყვები.

რევაზ ინანიშვილს, როგორც ერთ უპირველეს ქართველს, უყვარდა და ეთვირფასებოდა ქართული ბუნება. იგი ერთგან წერს, რომ ქართველები ყოველთვის საუკუნოვან მცენარეებს ვზრდიდით და, რაც უფრო მეტი ხნისანი იყვნენ ისინი, «მეტ პატივს ვცემდით, მეტად გვეამყებოდა მათი და ჩვენი ერთად არსებობა ქვეყანაზე».

აი, ხედავთ? ერთად არსებობაო!

ამიტომ აშინებდა მას მთელი კაცობრიობის წინაშე აგორებული დიდი საშიშროება — ბუნების განადგურების საშიშროება. ეს — მან იცოდა — ყველას ეროვნულ თავისთავადობასაც ემუქრებოდა — თუ არ იქნება ქართული ვაზი, ქართული მუხა და ცაცხვი, მაშინ ქართველის და საქართველოს თავისებურებაც წაიშლება. თუ არ იქნება, ვთქვათ, ნორვეგიის ფიორდები, ნორვეგიის სულიც ჩაკვდება.

აი, ამიტომ თვლიდა, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები, განურჩევლად ეროვნებისა, დღეს ხელიხელჩაკიდებულნი უნდა იყვნენ ამ ყველაზე საზარელი საშიშროების აღსაკვეთად.

რევაზ ინანიშვილი ერთი უპირველესი ქართველი იყო და გული ემღურებოდა, როცა ხედავდა უმანკო ქართული სისხლის ღვრას, სუფთა ქართული სულის ამღვრევას...

საქართველოსათვის უმძიმეს დღეებში დაგვტოვა მან და ვაი, რომ ჩვენ, მისმა თანამშრომლებმა, ვერ გავუმყღავნეთ ჩვენი სიყვარული, ვერ ვაჩუქეთ ჩვენი სითბო, ვერ ვუთხარით ნუგეშის სიტყვა...

ვაი რომ დავაკელით...
სასუფეველში შეევსოს!
შეევსება!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთოს საახალწლო ბარათები

თამაზ ეგანოიძე

•

თბილისიდან გესალმები,
ჩემო თბილო ბებია!
ერთი ციცქნა შვილიშვილი
ხომ არ მოგნატრებია?
მრავალ ახალს დაესწარი,
გაოცნი, კარგო ბებია!
ჩემთვის ტკბილი გოზინაყი
ხომ არ დაგვიწყებია?..

•

მრავალ ახალს დაესწარი
ჩემო კარგო მამიდა!
რომ არ ჩანხარ, როგორ ფიქრობ,
შენი ნახვა არ მინდა?
მე კიჟები ამომეჯრა,
თავი ძომწონს ამითა!
ტირილი კი ისევ ვიცი,
უფრო ხშირად ღამითა...

•

გამარჯობა, გამარჯობა,
ჩემო კარგო ბაბუა!
როდის უნდა ჩაიხუტო
შვილიშვილი ღაბუა.
ახალ წელს შენც ძოგილოცავ,
აგისრულდეს ძიზნები!
მე ზღაპრები ძომიძზადე —
იცი, როგორ ვიზრდები?..

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

გოზინაყი

ნინო ბეზარაშვილი

რამდენიმე საათი და ახალი წელი დადგება. უფროსები სულაც არ ფიქრობენ ამაზე, დარდიანები არიან. რაც მამაჩემი წაიყვანეს, სულ ასეა, — არაფრის გაკეთების გული არა აქვთ. მე და ჩემს პატარა და-ძმებს კი ძალიან გვინდა გოზინაყი. ვბუტბუტებთ, ვბუზღუნებთ: „აბა, ეს რა ახალი წელია, გოზინაყი არა გვაქვს“.

ბებია წინდასა ქსოვს აჩქარებით, ციმბირში უნდა გაუგზავნონ მამაჩემს. ქსოვს და თან გვეუბნება: — ცოტა მოითმინეთ და გექნებათ.

„აბა როგორ, ღმერთი ხომ არ ჩამოგვიყრის? თაფლი ჩვენ არა გვაქვს და ნიგოზი“, — ვფიქრობ ჩემთვის.

უცბად ბებიამ საქსოვი ტახტზე დადო და მარანში ჩავიდა. ერთი ნახევარ-ჩარექიანი ბოთლი ბადაგი და მოზრდილი პარკით მზესუმზირა მოიტანა.

— ნუ დაიზარებთ, შვილო, ფრჩხილებით მზესუმზირას წვეტები დაუმტვრიეთ, გულები გამოარჩიეთ და გოზინაყი გავაკეთოთ. ადვილია, პატარაობაში მეც გამიკეთებია. — გვითხრა ბებიამ. გაკვირვებული დავრჩით, ჯერ ასეთი რამ არ გაგვეგონა. მზესუმზირისა რა გოზინაყი უნდა გამოსულიყო. ბებიას უარი მაინც ვერ ვუთხარით, მაგიდას გარშემო შემოვუსხედით, წინ თითო თეფში დავიდგით და საქმეს შევუდექით. წკატ, წკუტ, წკატ, წკუტ, — ისმოდა ჩვენს მიჩუმებულ სახლში. ერთ წუთსაც არ ვჩერდებოდით. შიგდაშიგ ერთმანეთის თეფშებს გადავხედავდით. გვინდოდა გაგვეგო, ვის რამდენი გვქონდა დარჩეული. ხან კი კედელზე ჩამოკიდებულ, ძველებურ საათს შევხედავდით, ვჩქარობდით, სანამ ახალი წელი დადგებოდა, უნდა მოგვესწრო გოზინაყის გაკეთება.

ბებიამ ყურიანი სპილენძის ტაფა გახურებულ ღუმელზე შემოდგა, შიგ ბადაგი ჩაასხა და რაც შეეძლო, ურევდა ხის კოვზით.

ბადაგი ადუღდა და ოთახს მსუყე, სასიამოვნო სურნელი მოეფინა. მალე ყველამ თავ-თავისი, მზესუმზირის გულით თავმობმული თეფში მივიტანეთ და აქაფქაფებულ ბადაგში ჩავყარეთ. მერე პურის საჭრელი ფიცარი, ჯამით წყალი და დანა გავამზადეთ. სუფთა ტილო წყალში დავაჭაპჭაპეთ, ფიცარს მივუსვამოვუსვით.

ბებიამ მოიტანა ცხელი გოზინაყით სავსე ტაფა და სველ ფიცარზე წამოაპირქვავა, მერე კოვზის ზურგით გასწორება დაუწყო. ჩაჭყოფდა კოვზს წყალში, გოზინაყს გადაუსვამდა, ჩაჭყოფდა, ისევ გადაუსვამდა, ამასობაში გადაასწორა, გაალამაზა და დანით კოხტა ოთხკუთხა ნაჭრებად დაჭრა. ჩვენ კი ის ნაჭრები დიდ თეფშზე მწყობრად დავწყეთ.

ბებია აქებდა და აქებდა თავის გამოგონებულ გოზინაყს: — რა კარგი გამოვიდა, ქა, რა კარგი, ხელმწიფესაც კი არ ექნება ამისთანა გოზინაყი! ჩვენ არა გვჯეროდა, ეჭვით ვუყურებდით. მაგრამ, როცა გემო გავუსინჯეთ, მაშინ ძალიან მოგვეწონა, მართლაც კარგი იყო: ტკბილი, გემრიელი, აბა, ჩვენი ბებია ცუდ რამეს ხო არ გაგვიკეთებდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო

დარიკო მღებრიშვილი

საახალწლოდ ჩამობრძანდა
ჩვენი დარო ბებია,
უველაფერი მოგვიტანა —
ვაშლის, კომშის მთებია.
ჩურჩხელებიც ჩაუწყვია,
ჩირი დავიწყებია,
თავში ხელი შემოირტყა:
თქვენ მოგიკვდეთ ბებია.

ზამთარი

ლია კობალაძე

ცვივა, ცვივა, ცვივა
ფანტელები უხვად,
ოი, როგორ ცივა,
ვაგიზგიზებთ ბუხარს.
ადის, ადის, ადის,
კვამლი ადის ცაში
შესცივნია ნადირს
გაზაფხულის ცდაში.
შაშვის ჭახჭახ-ჭახჭახს
მოჰკლებია ეშხი,
დადუღებულ მაჭარს
ბაბა ასხამს ქვევრში.
დასვენებს ფიწალს,
დაღლილ მუხლებს გაშლის,
დათოვლილი მიწაც
თოვლმს ფიფქების თოვლში...
— ნეტავ, როდის მოვა
გაზაფხულის თქეში?
— ახლა ჩამოთოვა,
მოწვიმს მარტის თვეში!..

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

გამარჯობათ თქვენი, ანო და ვანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის დიდი სიხარულია თქვენი გაცნობა. თანამზრახველისა და ამხანაგის შეძენა ყოველთვის ბედნიერებაა. ჩვენ და თქვენ კი, რაღა თქმა უნდა, ერთი ზრახვა და მიზანი გვაქვს — თანატოლებთან ერთად კარგ ადამიანებად აღვიზარდოთ, ბევრი რამ ვისწავლოთ და ქვეყანას გამოვადგეთ!

თქვენი ჟურნალი ზაფხულში დაიბადა. ალბათ ამიტომ არის, რომ ქართული ზაფხულის მდელოსავით ხასხასა გვერდზე მრავალ საინტერესო, საგულისხმო, სამომავლო საქმეს ჰპირდება საქართველოს გოგო-ბიჭებს. ჰპირდება და იწყებს კიდეც დანაპირების შესრულებას — ბევრი, ნამდვილად ბევრი რამის ცოდნით ამდიდრებს — სამყაროს შექმნიდან მოკიდებული დღევანდელამდე...

იაკობ გოგებაშვილის ნაამბობი ბიბლიური ისტორია ქვეყნის შექმნისა; და აკაკის «ლეგენდური» საქართველოს ოდინდელ მადლზე — ფუტკარზე და აბრეშუმის ჭიაზე; ხალხური ლექსები და მოთხრობები ადამიანზე, ბუნებაზე, ცხოვრებაზე; ბერძნული მითი, და ჩინური სიბრძნის ნიმუშები; საქართველოს ისტორიის ერთი ბრწყინვალე და ერთიც ნაღვლიანი ფურცელი... ამათ გარდა აქ არის ზოგი დასაფიქრებელი, ზოგი გასახალისებელი, ზოგიც თავსატეხი მოთხრობა, ლექსი, ნახატი...

გამარჯობა თქვენი, ანო და ვანო! გამარჯობა დიდო თამარ, ტანჯულო დავით, გულით უხვო ფიროსმანო, ქართველთა სიქადულნო — აკაკი, ძია იაკობ; კეთილო ძიებო — დავითებო — წერედიანო და ჯავახიშვილო; გამარჯობა პატარა მხატვრებო; კეთილშობილნო და ჩვენზე გულით მზრუნავნო გამომცემელ-რედაქტორ-მხატვარ-ფოტოგრაფნო!

რომ იცოდეთ, რა კარგი შურით გვშურს თქვენი, როგორ გვინდა ჩვენს ჟურნალ «დილასაც» ჰქონდეს საშუალება, ისეთ კრიალა ქაღალდზე იბეჭდებოდეს და ისეთი ბეჭდური ფერებით ხასხასებდეს, როგორც თქვენი ჟურნალი!

ნუ გვიუკადრისებთ უსახსრობისა და შეუხედავობის გამო.

ხელი ხელს მივცეთ!

მრავალი «გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი» გვენახოს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო!

ბოცო და გვანცა

გოცო და გვანცა

მოგზაურობა ისტორიაში

ავტორი — გია ლაფაური

დავითის ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ

1095 წელს რომის პაპმა ურბან II-მ ჯვაროსნული ომი გამოაცხადა სელჩუკთა იმპერიის წინააღმდეგ. მოკლე დროში ევროპელმა რაინდებმა ბრძოლით აიღეს ედესა, ანტიოქია, იერუსალიმი და დააარსეს ჯვაროსნული სახელმწიფოები.

დავით IV-მ ისარგებლა შექმნილი ვითარებით, სულთანს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და კახეთ-ჰერეთიც შემოიერთა. განრისხებულმა სულთანმა ურიცხვი სპა დასძრა დავითის წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა 1104 წელს ერწუხთან.

ეს ნუ ეს
ეს ეს
ეს ეს
ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები ბიბლიური ისტორიიდან

ია მელიქიძე

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობა

ენების არევის შემდეგ ადამიანები დაშორდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა ადგილებზე დასახლდნენ. მალე დაივიწყეს დამბადებელი ღმერთი და მის მაგიერ თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ცეცხლს, წყალს, ცხოველებს და ღვთის სხვა ქმნილებებს. ქმნიდნენ გამოსახულებებს — კერპებს, და თაყვანს სცემდნენ მათ როგორც ღმერთებს — კერპთაყვანისმცემლები, ანუ წარმართები გახდნენ. დედამიწაზე ცოდვა გამრავლდა. ძალიან ცოტაღა დარჩა ღვთის ერთგული და სათნო ადამიანი. ერთი მათგანი იყო მართალი აბრაამი, სემის შთამომავალი.



აბრაამის ცხოვრება

ღმერთმა გამოარჩია აბრაამი, რომ მისი მეშვეობით შეენარჩუნებინა და სხვებისთვის გადაეცა ჭეშმარიტი სარწმუნოება. აბრაამს უყვარდა ყველა ადამიანი, მტრები არ ჰყავდა და წმინდა გულით აკეთებდა ყველაფერს. მთელი მისი ცხოვრება ღვთისადმი მორჩილების გამოხატულება იყო.

აბრაამი ცხოვრობდა ქალდეველთა

ქვეყანაში, წარმართულ ქალაქ ურში. ღმერთს არ უნდოდა, აბრაამსა და მის შთამომავლებს წარმართების გარემოცვაში ეცხოვრათ. ამიტომ უბრძანა, დაეტოვებინა მშობლიური კერა და თავის ოჯახთან ერთად გადასახლებულიყო იმ მიწაზე, რომელსაც თვითონ უჩვენებდა. უფალმა უბრძანა აბრაამს: „წარმოვშობ შენგან დიდ ხალხს, განვადიდებ შენს სახელს, კურთხეული იქნები და შენში იკურთხება მთელი მოდგმა“, ანუ შენს შთამომავლობაში იშვება აღთქმული მაცხოვარიო.

აბრაამი დაემორჩილა ღვთის ნებას და თავის ცოლ, სარასთან, ძმისწულ, ლოთთან და მოსამსახურეებთან ერთად წავიდა მითითებულ ადგილას, თან წაიღო მთელი თავისი ქონება, წაასხა ცხვარ-ძროხა. აქ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ქანაანის მიწაზე ღმერთი კვლავ გამოეცხადა მას და აღუთქვა: ამ ქვეყანას შენ და შენს შთამომავლებს მივცემო.

იმ დროიდან ქანაანს „აღთქმული მიწა“ ეწოდება. აღთქმული მიწა ზეციურ სასუფეველს მოასწავებს. ზეციურ სასუფეველს მიიღებს ყველა, ვინც უფ-

ლის ნებას შეასრულებს. ამჟამად ქანაანს პალესტინა ჰქვია.

აბრაამი და ლოთი

მალე აბრაამის და ლოთის საქონელი ისე გამრავლდა, რომ შეუძლებელი გახდა მათი ერთად ცხოვრება, ამიტომ გადაწყვიტეს მშვიდობიანად გაყრილიყვნენ. აბრაამს, როგორც უფროსს, უფლება ჰქონდა თვითონ აერჩია საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ უდიდესი თავმდაბლობის გამო ძმისწულს დაუთმო არჩევანი. ლოთმა ქალაქ სოდომში ცხოვრება ინდომა, რადგან იქ კარგი საძოვრები იყო, აბრაამი კი ქალაქ ქებრონის მახლობლად დასახლდა.

ერთხელ სოდომს ელამის მეფე დაესხა თავს, დაიმორჩილა ქალაქი, და მისი მკვიდრნი ტყვედ წაიყვანა. ეს ამბავი აბრაამს შეატყობინეს. მან შეკრიბა თავისი მსახურები, დაედევნა მომხდურს, ყველაფერი წაართვა და ტყვეებიც გაათავისუფლა. უკან დაბრუნებულ აბრაამს ხალხი სიხარულით ეგებებოდა. მელქისედეკმა, სალიმის მეფემ და უზენაესი ღმერთის მღვდელმა, მას ღვინო და პური მიართვა და აკურთხა.

„მელქისედეკი“ ნიშნავს „სიმართლის მეფეს“. მელქისედეკი მოსწავებს იესო ქრისტეს: იგი მეფეცაა და მღვდელიც, — ქრისტესავით.

მელქისედეკმა აბრაამს პური და ღვინო მიართვა; ქრისტემ პურისა და ღვინის სახით დაგვიტოვა თავისი სისხლი და ხორცი, ანუ წმინდა ზიარება, რისი მიღებაც ყველა ქრისიტიანისათვის აუცილებელია.

ონავარი ზოოპარკში

გიორგი გიგაური

რატომ აწვალებ ირემს,
რატომ აწვალებ,
რატომ?
არა სჯობია,
დაჯდე
და გულმოდგინედ ხატო,
ხატო,
ხატო და
ხატო.
რატომ აბრაზებ არწივს,
ორბს და
მობუზულ ძერას,
მჯერა,
ამათგან ვერც ერთს
ვერ მოერევი,
ვერა,
ვერა,
ვერა და ვერა.

მაჯამური ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯამა ჰქვია ისეთ ლექსს, რომელშიც რითმად ნახმარია სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ერთი და იგივე სიტყვა. მაგალითად: **ბარი** დაბლობსაც ნიშნავს და სამუშაო იარაღსაც; **წვერი** კალამსაც აქვს, ფანქარსაც, ხესაც და ა. შ. მაგრამ იგი კაცის სახეზე ამოსული ბალანიც გახლავთ; **ბან-ი** ქართული ანბანის მეორე ასოც არის და სახლის ბრტყელი სახურავიც. იგი, აგრეთვე, დაბალ, ბოხ ხმასაც ჰქვია ქართულ სიმღერაში... გულით ვეცადე, ამნაირი ლექსები შემომეთავაზებინა თქვენთვის. ნახეთ, წაიკითხეთ, იქნებ მოგეწონოთ?

ოთარ შალამბერიძე

ბატის ჭუკი

ბატის ჭუკი ბალახს წიწკნის,
მურია წევს ღობის **ახლოს**.
ქორი თვალებს აბრიალებს,
გაბედოს და ხელი **ახლოს**!

ბალი

ჯარგად ვიცი, რა ხილია
თეთრი ბალი, შაი **ბალი**.
თორმე ცმაკით და მუსიკით
წვეულებაც არის — **ბალი**.



ზამთრის პირი

გაუვითლებული ფოთლები
ქარმა ერთბაშად **არია**,
ასე დაიწყო ზამთარმა
საშემოდგომო **არია**.

თადარიგი

შეიმოსა მწვანე მოლით
მაღლა მთა და დაბლა **ბარი**.
თოვლგამოვლილ ბაღჩისათვის
მისწრებაა ახლა **ბარი**.

მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაია

ყვითელ ყვავილებს რომ ისხამს,
არის ბალახი — ბაია.
თვალის გუგასაც სახელად
იგივე ჰქვია — **ბაია.**
ჩემი პატარა დაიკოც
გახლავთ, ბატონო, **ბაია.**

ტოტები

ტოტი — განა მარტო ხისა? —
ვაშლის ტოტი...
ატმის ტოტი...
ტოტი...
დათვის ფეხსაც, ვეფხვის ფეხსაც
და მგლის ფეხსაც ჰქვია **ტოტი.**

მამას ველი

გინდ გაშლილი ვაკე გითქვამს,
გინდ მინდორი, ანდა **ველი,**
როცა მამის მოსვლას ვუცდი,
იგივეა: „მამას **ველი**".

რა კაცი ხარ...

როცა მთაში დიდ თოვლს დადებს,
შველასა გთხოვს ბარში **შველი,**
და შენც, კაცო, რა კაცი ხარ,
გაჭირვებულს თუ არ **შველი?**

გაზაფხული მობრძანდა

გაზაფხული მობრძანდა,
აყვავილდა **კუნელი.**
ეს ვინ მოდის ზოზინით?
რა თქმა უნდა **კუ, ნელი.**

თვალხუჭუნა დაჭერობანა

თქვენ იტყვით, ასეთი თამაში არავის გაგვგონია, თვალხუჭობანა სხვა თამაშია და დაჭერობანა სხვაო. და მართალიც იქნებით. მაგრამ ეს კიდევ სულ სხვა თამაშია — ზამთარში ან უამინდობაში, ოთახში სათამაშო.

სამი-ოთხი ან მეტი ბავშვი თუ შეიყარეთ, აიღეთ „დილის“ ეს გვერდი. მერე კი გაითვალეთ. ვინც დარჩება, ის დაიხუჭოს, თვალდახუჭულმა ალალბედზე დაადოს თითი ნახატს და რომელ ცხოველსა თუ ფრინველსაც ეროვნული ბიბლიოთეკა ჭერს“ მისი ხელი, იმის ხმა გამოსცეს. მაგრამ ეს არა კმარა. ამავე დროს ბავშვმა უნდა თქვას, რა ჰქვია ამ ცხოველის ხმიანობას. ვინც ძაღლს ან კატას „დაიჭერს“, იმას რა უჭირს, არც დაყეფება და დაკნავლებაა ძნელი და ისიც ყველამ იცის, რომ ძაღლის ხმიანობას „ყეფა“ ჰქვია და კატისას — „კნავილი“. მაგრამ ზოგი ცხოველისა თუ ფრინველის ხმაც ძნელი გამოსაცემია და ხმიანობის სახელიც ბევრმა არ იცის. საქმეც ეს არის! აბა, ვინ აჯობებს! ვინც ორივე პირობას შეასრულებს, იმას 2 ქულა ჩაეთვლება, ვინც ერთ-ერთს — იმას 1 ქულა, ვინც ვერც ერთს — 0. ერთბაშად 5 ქულა ჩაგეთვლებათ, თუ გაჭირვებისას — არცოდნის ან სხვა შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებულ ან სახუმარო გადაწყვეტილებას მიიღებთ. მსაჯობისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ვინმე უფროსთაგანს — უფროს დას ან ძმას, მშობლებს, ერთი სიტყვით, ვინც თქვენს ახლოს იქნება. თამაში ახალი გათვლის შემდეგ გაგრძელდება. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მოაგროვებს ქულათა დათქმულ რაოდენობას.

მხატვარი **თამარ მელიქიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენის გასატეხი

ბეჟან სვანიძე

ზამთარია.
ტყე — შიშველი.
მიკუნტრუშობს
ტყეში შველი.
ისე, ვერც კი
იტყვი ენით:
შველი — ტყეს
და
ტყე შველს შვენის!

გამოცანები

გივი ჭიჭინაძე

ორი, ტყუპივით ნავი მაქვს,
ღამემდე თავს ვერ ვანებებ.
ზღვაზე იმათ რას ვენდობი,
ხმელეთზე დამატარებენ.

* * *

ფერს არ იცვლის ზამთარ-ზაფხულ,
ტანთ აცვია მწვანე ფარჩა.
წინათ ტყეში იზრდებოდა,
დღეს ქალაქშიც ბევრი გაჩნდა.

გასართობი

აბა, თუ შეძლებთ აი, ასეთი სამი სამკუთხედის შეერთებით ნაძვის ხე დახატოთ!

გამოდის 1904 წლიდან.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
თენგიზ ჩალაური

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კოსტავას 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 4.12.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.92 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 29.000 შეკვეთა № 2189.

ყდაზე ნახატი
ბესო ხიდაშელსა

გაკვეთილი

ეს ვიცოდეთ

ეს ვიცოდეთ

ეს ვიცოდეთ